საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი ივნისის 8
1921 წ.

№ 81

ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 5000 მან. ცალი 200 მან.

**სახელმწიფო ოპერის თეატრი**
ხუთშაბათი ივნისის 9 ს.

**გრიშაშვილის საღამო**

სიტყვა,
შუშპარი,
ვოდევილი,
სიმღერა,
დეკლამაცია.

დაწვრილებით პროგრამაში
ბილეთები იყიდება

ქალ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
**ამზადებს**
საფუძვლიან განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებლებში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081

**დაკარგულია**
დაკარგულია გრიგოლი (გრიშა) პეტრეს ძე კეკელია. ერთი წელიწადი სრულდება რაც სამუშაოდ წავიდა და არავითარი ცნობა არა გვაქვს და თუ ვინმე რამე იცით შეგვატყობინეთ. მისამართი მუხრანის ქ. № 7 ალექსანდრე ლაზიაშვილს. 1075

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა განყოფილების კოლეგია აცნობებს დაჭრილ-დასახიჩრებულთ და მეგობრებს ნაცნობებს ამხ

**ნესტორ ფხოველაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია ხუთშაბათს ივნისის 9, საღამოს 5 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში. 34.

კბილის ექიმმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13, ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად სიფილისი (914 და 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული სნეულებანი და შარდ-გზები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს.
ალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

## ფურცლები

37.

**მომენტი და ჩვენი კონფერენცია.**

სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის კონფერენცია შეუდგა მომენტის განხილვას.

მომენტის პრობლემა ტრაფარეტად გადაიქცა. ყველა ან მომენტზეა ლაპარაკი, ყველას მომენტი აკერია პირზე და შეუძლია თუ არ შეუძლია მომენტს აბრუნებს წაღმა-უკუღმა.

ნამდვილად კი მომენტი მეტად რთული მოვლენაა. საქართველოს პრობლემა მჭიდროდ დაკავშირებულია მომენტთან. რა არის მომენტი? რას ნიშნავს იგი?

მომენტი ყველა ერის და ქვეყნის ცხოვრებაშია, იგი ადგილობრივი ელემენტის მატარებელია და კვანძია ეროვნულ ძალთა-განწყობილების. მაგრამ, რასაკვირველია, მომენტის პრობლემა არ იფარგლება ნაციონალური ცხოვრების მასშტაბით.

კაპიტალისტურმა ცხოვრებამ ოაზისები და ტიუნენის კუნძულები არ იცის. დიდი და პატარა ერი ცხოვრობს არა მარტო საკუთარის ცხოვრებით, არამედ სხვა ერთან კომბინაციით, ხშვაზე გავლენით, ხშვასა გავლენით. ესე იგი მომენტი სრული განწყობილებაა საშინაო და საგარეო ძალების, რომელთაც ურთი-ერთობა გავლენას ახდენს და სწყვეტს ნაციონალურს საკითხს.

ყველა ქვეყნისათვის მომენტის პრობლემას ნაციონალური მნიშვნელობა აქვს. ნაციის ინტერესი ნამდვილი სარჩულია მომენტის წამოყენებისას, მაგრამ მომენტში უნდა ამოიწუროს ის მთავარი მომქმედი ძალები, იმ ძალთა ნამდვილი ზრახვანი, რომელნიც საბოლოოდ სჭრიან, შეიძლება არა პირდაპირ, ჩვენი სამშობლოს საკითხსაც.

მომენტის ასე ზედმიწევნით შესწავლა ჩვენთვის იმდენად საჭიროა, რამდენადაც პატარა ერი ვართ. არა თუ პატარა ერების საკითხი დღეს აღარ არის თავის ხელში, ბუმბერაზი სახელმწიფონიც მხოლოდ სახელმწიფოთა კოალიციით ახერხებენ დამოუკიდებლობის პოლიტიკის წარმოებას.

მომენტში სავსებით უნდა გაირკვეს არა მარტო ის, რაც ჩვენს სამშობლოში სანუკვარი ჩვენი ინტერესია, არამედ ის თუ რა ინტერესები აქვთ სხვა სახელმწიფოებს ჩვენში. კაპიტალიზმის უკუღმართობაც იმაში მარხია, რომ ეს წყობილება პატარა ერების დამოუკიდებლობას კი არ ნიშნავს, არამედ, არსებითად, დიდი ერების ბატონობას პატარა ერებში. დიდი ერები გამოდიან ასეთი ჯალათის როლში ყოველთვის, იქნება იგი მონროეს და გამილტონის სამშობლო, საფრანგეთი ლუიმანისა თუ ლუი ნაპოლეონის.

მომენტის ეს მხარე—ინტერნაციონალური მომენტები—თანამედროვე პირობებში მეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე ნაციონალური მხარე. ჩვენ შეგვიძლია ადვილად გავიგოთ მთელი ჩვენი განწყობილება საქართველოში, როგორც ჩვენი მთავრობის, ისე ჩვენი ხალხისა, მაგრამ განა ამით ამოიწურება საქართველოს საკითხი? განა პრობლემა ჩვენი ნებისყოფის ნიადაგზე სდგას? განა ჩვენი სურვილი სწყვეტს საქართველოს საკითხს?—რასაკვირველია არა. საქართველოსათვის ქართველი ხალხის სურვილს მხოლოდ მნიშვნელობა აქვს, ხშირად არსებითი მნიშვნელობაც არ აქვს—ასეთია ფაქტი იმ უბედურებისა, რომელიც შექმნილია თანამედროვე იმპერიალისტური წყობილებით.

განა 1899 წელს ბურების საკითხი ბურების სურვილით გადასჭრეს? განა ბელგიელების სურვილით ხდებოდა ბელგიელებზე ჰოლანდიელებზე ბატონობა? განა მეტერნიხის ხსენება ზიზღს არ იწვევდა რომის, ვენეციის, მილანის და სხვათა მიდამოებში? ან ჰუნგრეთი სთხოვდა ბარბაროს რუსეთს ჰუნგრეთის ნაციონალისტების დახოცვას? ან მაჰომედის აღთქმულ ქვეყნებში ინგლისის საროწმუნოება და ზნეობა იყო არაბთათვის სანუკვარი ოცნება?

ჩვენი უდიდესი მოვალეობაა გადავშალოთ უმთავრესად ის ინტერესები, რომელნიც ეჯიდებიან და იმორჩილებენ ჩვენს ნებისყოფას. ჩვენ ვხედავთ, ბათომ-ბაქოს გზაზე ჩვენი კონდუქტორები ხან შოტლანდიის კაბიან მამაკაცებს დაატარებენ, ხან მზისგან დახრუკულ სიპაებს, ხან კიდევ თათრებს, ლორის ქონით ჩასუქებულ გერმანელებს, ხან კიდევ იტალიის მომღერალ სალდათებს და მატროსებს.

განა ამ ჯენტლმენებს ჩვენ ვიწვევთ? რაშია საქმე? რა უნდათ ჩვენგან? ქართველ გლეხს და მუშას 40 წლის წინად გზები ხომ იმისთვის არ აუგია, რომ მის ნაცვლად ხან მუქთად და ხან ჩვენი სურვილების წინააღმდეგ ვატაროთ უნახავი და სრულიად არა სასურველი ძალები?

აშკარაა, რაღაც იდუმალი ძალა ჩვენს ცხოვრებას ფაქტიურად განაგებს. ხშირად იგი ზესტაფონში და ჩხარში არ შეიჭრება მილიციელის ძალით, მაგრამ შორეულს კაბინეთში გადასწყვეტს ჩვენი პოლიტიკის საკითხს. მთელი მეცხრამეტე საუკუნე ინგლისისათვის იყო დიდი ლაბორატორია, სადაც ინგლისი აცხობდა ამა თუ იმ ქვეყნების კონსტიტუციას, სწორედ ისე, როგორც ლუი ნაპოლეონის მახინაციები ქსაქსავდნენ გერმანიას როგორც მეტერნიხი ახრჩობდა თვით საფრანგეთს, იტალიას, როგორც ამერიკამ გააპო კოლუმბია, როგორც იმავე ამერიკამ ჩაახრჩო და კიდევ ახრჩობს გერმანიას.

მომენტის ანალიზმა უნდა ახსნას სავსებით თუ დღეს ვინ აპირებს ჩვენი საკითხის გადაჭრას, ვისი ინტერესები უნდა გავვარდეს თავსატეხად.

ამ დიდს პრობლემაში რასაკვირველია მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მოაზრეს, აზრთა კვალიფიკაციას, მაგრამ პრობლემა და მთელი მომენტი ჩვენ უნდა გადავშალოთ დამოუკიდებელის აზროვნებით, იმ ობიექტიური მასალების მიხედვით, რომელნიც არსებობენ ყველა მოაზრეს გარეშე ყველა მოაზრის გონებისათვის, ვიმეორებ, როგორც მასალა.

აი აქ გაირკვევა მხოლოდ ნაციონალური პოლიტიკის საფუძველი, აქ ნათელი გახდება თუ როგორ უნდა დავარაზმოთ საკუთარი ძალები, რომ საერთაშორისო მასშტაბის კომბინაციებში მაქსიმუმი მივიღოთ ეროვნულ ცხოვრებისათვის.

ასე გვესმის ჩვენ მომენტის საკითხი. სხვანაირი გაგება მომენტისა არ არსებობს, სხვა პოზიციას ჩვენ ვერ გავიზიარებთ?

ამ თვალსაზრისის შემდეგ ჩვენს წინაშე მომენტის კონკრეტიული კითხვები გადაიშლება. რა მთავარი ძალები ქმნიან მომენტს საერთაშორისო მასტაბში? რა ძალები იბრძვიან, ვინ რას აკეთებს, ვინ იღუპება და რა ხდება ჩვენს გარშემო?

ამაზე შემდეგ.

თედო ღლონტი.

## საქართველო და კომინტერნი

ხვალ, ივნისის 9 მოსკოვში გაიხსნება კომუნისტურ ინტერნაციონალის მესამე ყრილობა. თავის ხანმოკლე არსებობის ისტორიაში კომუნისტური ინტერნაციონალი მეტად მრისხანე ძალად გადაიქცა. კაპიტალისტური ევროპა ძრწოლით უყურებს მის მუშაობას. ერთი წლის წინად კომინტერნს სამართლიანად უწოდებდნენ მოსკოვის ინტერნაციონალს, ეხლა ამ სიტყვას უბრალო ისტორიული ხასიათი აქვს, ვინაიდან კომუნისტურ ინტერნაციონალის რაზმი არსებობს ყველა დიდს და პატარა სახელმწიფოებში დედამიწის ზურგზე.

ამ დიდ მოვლენას შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს ყველა ქვეყნის ცოცხალმა ძალამ: დღეს საერთაშორისო მასშტაბით, მხოლოდ მესამე ინტერნაციონალია ერთად ერთი მომქმედი ძალა. ამ სამი წლის განმავლობაში მეორე ინტერნაციონალმა არა თუ ფრთები ვერ გაშალა, მან უბრალო, ჩვეულებრივი ყრილობაც ვერ მოაწყო. თვით ის კრებები, რომელიც მესამე ინტერნაციონალამდე იქმნა მოწყობილი შვეიცარიაში მოწვეულ იქმნა მესამე ინტერნაციონალის ეხლანდელ მესვეურების გამო. მეორე ინტერნაციონალის სრული ზნეობრივი, იდეური და ფაქტიური გაკოტრებისათვის მარტო ეს ფაქტი ყველაფერს ამტკიცებს.

არის კიდევ რეპროდუქციონისტების ინტერნაციონალი, ვენის ტიპისა, ეგრედ წოდებული ინტერნაციონალი ორ ნახევარი. ამ ინტერნაციონალის გახრწნის საუკეთესო დემონსტრაცია ის იყო რომ მან სრულიად ვერ შესძლო 13 მარტის უბრალო საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობა, რომლისთვისაც ასე ზეიმით ემზადებოდა.

კომუნისტურ ინტერნაციონალს ბევრი კიდევ ალმაცერად უყურებს. ამის ერთი მიზეზი სოციალისტურ პარტიებისათვის არის კომინტერნის სასტიკი დისციპლინა. უნდა ითქვას, კომინტერნი იჩენს ამ მხრივ მართლა ისტორიულ სიმტკიცეს და იგი არ დრკება თავისი ძვირფასი ამხანაგების და ჯგუფების გარიცხვის წინაშეაც. გერმანულ დამოუკიდებლების და იტალიის სერატის ძალთა მიმართ გამოჩენილი „სიმკაცრე“ მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ.

ბევრს ისიც აშინებს, რომ კომინტერნის მიღების მე-21 ფორმულაში იშლება დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიების სახეობაც. ამ მხრივ—რასაკვირველია კორექტივების შეტანა აუცილებელია და ბუნდოვანი დამოკიდებულება ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ეს საკითხი ფეტიშის საკითხი არ არის კომინტერნისათვის.

მეტად საყურადღებოა დისციპლინის საკითხი. მარქსის ინტერნაციონალი დაამხო დისციპლინის სისუსტემ და ისეთი გაიძვერა ადამიანების ინტრიგამ როგორიც იყო უტინი. დისციპლინა მტკიცე უნდა იყოს ცალკე პარტიებში, მაგრამ ეს სიმტკიცე ინტერნაციონალისთვით არსებობის აუცილებელი პირობაა.

ჩვენ სავსებით უნდა დავდგეთ ასეთ დისციპლინის ნიადაგზე. ასეთ პრაქტიკულ საკითხების გამო კომუნისტურ ინტერნაციონალის უარყოფა მიუტევებელი შეცდომაა თუ სამისოდ არ არსებობს სხვა პრინციპიალური მოსაზრება.

დღეს, საქართველო ფაქტიურად სდგას კომუნისტურ ინტერნაციონალის მწკრივში. თუ საქართველოს შესვლა ინტერნაციონალში წინად იყო მენშევიკების მონოპოლია, დღეს ასეთივე მონოპოლია ინტერნაციონალში მუშაობისა კომუნისტებს აქვთ აღებული.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას, არ შეუძლია ინტერნაციონალში მონაწილეობა განიხილოს პარტიულის თვალსაზრისით. ერის ძალა, როგორც ასეთის, უნდა სჩანდეს ინტერნაციონალის მუშაობაში და ჩვენ კარგად ვიცით, რომ დღეს მესამე ინტერნაციონალის მუშაობა საქართველოში ისევე ახლოა ეხება ჩვენს ქვეყანას, როგორც ბურჟუაზიის ინტერნაციონალი—„ხალხთა ლიგა“ ეხებოდა საქართველოს. დღეს მხოლოდ როლებია შეცვლილი. მაშინ იყო ბურჟუაზიული „ხალხთა ლიგა“, დღეს არის

სოციალისტური ინტერნაციონალი, „მუშათა ლიგა“.

მესამე ინტერნაციონალი დიდ ყურადღებას აქცევს აღმოსავლეთს. „კრასნი ვოინ“-ი მართალია, რომ აღმოსავლეთის პრობლემაში საქართველოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს იცის არა მარტო ხსენებულ გაზეთის თანამშრომელმა მ. კლერმა, არამედ თეორიულად ეს ზედმიწევნით იცის ზინოვიევმაც, ერთმა დიდმა მუშაკმა კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომელსაც, ნაციონალური პრობლემის საკითხი და მისი მნიშვნელობა კარგად აქვს გადაშლილი თავის თხზულებაში—„ომი და სოციალიზმის კრიზის“-ი“.

ამ საკითხში დიდი მუშაობაა საჭირო. საკმაო არ არის მარტო თეორია, მეტი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთში პრაქტიკულ მომენტებს და ამ მხრივ ძვირფასია საერთო სარევოლუციო საქმი[illegible] კრიტიკული თვალსაზრისი, კრიტიკული განხილვა მდგომარეობას.

აღმოსავლეთის საკითხი თანამედროვე მსოფლიო კრიზისის საქმეში დიდ როლს თამაშობს. დაჩქარება ამ პროცესის მთელი კაცობრიობის ხსნის საკითხია და სწორედ გაგებული და სწორედ გატარებული ეროვნული პოლიტიკა ამის აუცილებელი საწინდარი.

ჩვენ ვწუხვართ, რომ ამ დიდს პრობლემის შემუშავებაში—გამორკვევაში, საქართველოს როლის და საქართველოს საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებისათვის 9 ივნისის ყრილობაზე მონაწილეობას ვერ ვიღებთ.

მაღალი.

# ღია წერილი მოქალაქე თედო ღლონტს.

მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ თქვენ ამ წერილით, როგორც ქართველ სოციალისტ ჟურნალისტს. საჭირო არ არის გითხრათ, რომ აზრად არ მქვს შევეხო თქვენს პოლიტიკურ მიმართულებას, რომელიც უკანასკნელ თვეებში არ შექმნილა, არამედ მას შედარებით ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ნება მიბოძეთ მხოლოდ ამ წერილში მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ გარემოებას, რომელიც უხათუოდ აინტერესებს მკითხველებს. შეიქნა ისეთი პირობები, რომ თქვენი გაზეთი არის ერთად ერთი ორგანო, საიდანაც შეიძლება, რასაკვირველია, შექმნილ პირობების მიხედვით შეკვეცილად, უფრო ნამდვილად გაიგოს მკითხველმა საზოგადოებამ თუ რა ხდება არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთში და ევროპაშიაც.

ევროპას რომ თავი დავანებოთ, საიდანაც ხდება უდიდესი აზრთა შეჯახება მუშათა მოძრაობაში და რომლის შესახებ ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი არ იცის, თქვენ იცით რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიის წიაღში, რომლის შტო განაგებს ჩვენს ქვეყანას, ხდება მეტად მწვავე კამათი, გამოწვეული დიდი თეორეტიული და პრაქტიკული კითხვებით. იტყვიან, ეს ჩვეულებრივია ყოველ ცოცხალ პარტიაში. ეს მართალია. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ის ცნობები, რომელიც ამის შესახებ აქვს რუსეთის მუშებს და გლეხებს, უნდა ხელში ქონდეს საქართველოს მშრომელ ხალხს, რომელმაც არ იცის რუსული. თქვენ დამეთანხმებით, რომ საკმარისი არ არის, რომ დღევანდელი მესვეურები უმასპინძლდებოდენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს ლაზათიანი სიტყვებით პრესაში და კრებებზედ, როდესაც მოწინააღმდეგეს პასუხის გაცემა არ შეუძლიათ. ქართველ მუშებს და მოწინავე გლეხებს უსათუოდ ეინტერესებათ, თუ ვინ ყავს სახეში ლენინს, როდესაც ამბობს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ: „ის პროლეტარიატის წარმომადგენელი, რომელიც იწყებდა არამ გზით გაეუმჯობესებინა მუშების მდგომარეობა, საქმით კაპიტალისტების და თეთრ-გვარდიელების დამხმარე იქნებოდათ“ (იხ. პრავდა გაზეთი № 75). ვინ არიან ეს თეთრ-გვარდიელების ესე იგი ბურჟუაზიის დამხმარეები საქმით, რომელნიც არ ღებულობენ ლენინის დებულებებს? ჩვენ გვაქვს სრული საბუთი ვიფიქროთ, რომ მას ყავს სახეში მისი პარტიული ამხანაგები, კოლონტაი-შლიაპნიკოვები, ტროცკი და სხვები. ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ ამ დავაში არსებითად მართალია ოპოზიციონერები, ხოლო ლენინი სავსებით შემცდარი. მაგრამ კითხვას არსებითად ვერ შევეხები.

ლენინი ხედავს, რომ რუსეთის ეკონომიკაში, რამდენობით, სჭარბობს წვრილი ბურჟუაზიული წარმოება და ის ამბობს: „წვრილი ბურჟუაზიული მეურნეობის განვითარება არ არის... კაპიტალისტური განვითარება, თუ არსებობს გაცვლა-გამოცვლა (უნდა ეთქვა: კაპიტალისტურ განვითარების პირობა. ბ. თ.) როგორ უნდა მოვიქცეთ? კითხულობს ლენინი და ამბობს: „ან აღვკრძალოთ, ჩავკეტოთ სულ ყოველივე კერძო, არა სახელმწიფოებრივი აღებ-მიცემობა, ესე იგი ვაჭრობა, ესე იგი კაპიტალიზმი, რომელიც აუცილებელია წვრილი მწარმოებლების მილიონობით არსებობის დროს... ასეთი პოლიტიკა იქნებოდა სისულელე... არ არის დასამალი, რომ ზოგიერთი კომუნისტები აზრით, სიტყვით, საქმით სცოდავენ ასეთი პოლიტიკით. განთავისუფლდეთ ასეთი პოლიტიკისაგან, თორემ ჩვენი საქმე ძლიერ ცუდად წავა. ან (უკანასკნელი შესაძლებელი და ჭეშმარიტი პოლიტიკა) არ ვეცადოთ აღვკრძალოთ, ან ჩავკეტოთ კაპიტალისტური განვითარება, არამედ მივმართოთ მისი განვითარება სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ“ (პრავდა გაზეთის № 75) ასე ამბობს ლენინი და ეს სიტყვები სავსებით ნათელი და აშკარაა.

თქვენ იცით, მოქალაქე თედო, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი მხოლოდ სხვა ფორმაა იგივე კაპიტალიზმის, ესე იგი ბურჟუაზიულ მეურნეობის. მხოლოდ ზოგიერთ პირობებში, ჩვენის აზრით, ის მეტად წასაგები საქმეა საზოგადოებისთვის, მაგ. თუ ის ბიუროკრატიულად არის მოწყობილი და კომუნისტების კანცელარიებში დასცურავს. თქვენ დამეთანხმებით, რომ ჩვენ მშრომელ ხალხს აინტერესებს ეს დავა და მას უნდა ქონდეს საშუალება გაარჩიოს ლენინი ტიგრანიანებისაგან.

სხვათაშორის ლენინი ამბობს: შეხედეთ რუსეთის ს. ს. რესპუბლიკის რუკას. ამ დიდ ტერიტორიაზედ შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო ათეული დიდი კულტურული სახელმწიფოები. ამ ძიუწვდომელ სივრცეზედ კი გაბატონებულია პატრიარქალობა, ნახევრად ველურობა“. ეს სრული სიმართლეა. ეს ისტორიის ნაყოფია. ასეთ ქვეყანაში, რასაკვირველია, არამც თუ სოციალიზმს ვერ დაამყარებენ იქ ადვილად, როგორც ეს სურს ქალბატონ კოლონტაის, არამედ სახელმწიფო კაპიტალიზმის გაბატონებაც საეჭვოა, უფრო მოსალოდნელია მისი დაუფლება უცხოელ ბურჟუაზიის მიერ, თუ საერთაშორისო გარემოებამ ხელი არ შეუშალა.

თქვენ იცით, მოქალაქევ, რომ ჩვენი ხალხი პოლიტიკურად რამოდენიმე ათეულ წელში გაიზარდა. მისი აზროვნება მოძრავია. მას უყვარს კითხვების გაშუქება, ამისთვის მას სჭირია მასალები. თუ თავისუფალ აზროვნებისთვის მას მასალები მოაკლდა დიდ ხანს, ის ჩამორჩება აზრთა განვითარებას და დაემსგავსება ბაშკირებს. დამოუკიდებელ ჟურნალისტის, ამ შემთხვევაში თქვენი, მოვალეობაა მიაწოდოთ მას ეს მასალები. თქვენ ეს კარგად იცით და მე ბოდიშს ვიხდი გახსენებისთვის.

ბ. თოქლათელი.

# გორის მაზრაში.

თბილისში დაბრუნდა საგანგებო სამეული, რომელშიაც შედიან შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე ამხ. ხუთულაშვილი, უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის კოლეგიის წევრი ფოფხაძე და წარმომადგენელი საქართველოს საგანგებო კომისიისა თაკუევი. სამეული გაგზავნილი იყო გორის მაზრაში და ახალქალაქის რაიონში ადგილობრივი მდგომარეობის გამოსაკვლევად იმ საჩივრების გამო, რომელნიც შემოდიოდა შინაგან საქმეთა კომისარიატში ადგილობრივ ხელისუფალთა მოქმედებაზე, ყაჩაღობაზე და სხვ. მაზრაში მისვლის შემდეგ სამეულმა მოიარა და გამოარკვია საქმეთა მდგომარეობა სოფლებში: ცხინვალს, დგვრისა, აჩაბეთსა, თამარაშენსა, მონასტერსა, ქურთასა, ფესვსა, ვანათსა, ბელოთსა, აწერის-ხევსა, წვერსა, ერგნეთსა, დიცსა და ზინდისა, ესე იგი თითქმის ცხინვალის რაიონის ყველა ქართლის და ზოგიერთ ოსების სოფლებში, და ამას გარდა ახალქალაქის რაიონის სოფლებში. რაც შეეხება ახალქალაქს, ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი რევკომი მთელი შემადგენლობით ხშირად უმსგავსად მოქმედობდა და არღვევდა მთავრობის დეკრეტებს, თავის ნებით ართმევდა ზოგიერთ პირს ქონებას და აძლევდა თავისიანებს, ნაცნობებს და ნათესავებს და თავის ქცევით შიშის ზარსა სცემდა რაიონს. ამხ. ხუთულაშვილის განკარგულებით ამ რევკომის მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს და სამართალში მისცეს; დაარსეს რევკომი ახალი საიმედო შემადგენლობით, ხოლო უკანონოთ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდა წინანდელ პატრონებს. ცხინვალის რაიონში საზოგადო მდგომარეობა ამნაირი აღმოჩნდა: როცა ცხინვალში წითელი ლაშქარი შედიოდა, ადგილობრივი ოსების ბანდებმა ისარგებლეს გარდამავალ მომენტით, ესხმოდნენ ქართველთ სოფლებს, სწვავდნენ, სცარცვავდნენ და ჰკლავდნენ მცხოვრებთ. ასე, სოფლებში: ქემერთში, ცარციენში და წვერაში დასწვეს 73 სახლი, გაცარცვეს თითქმის ყველა სახლები და მრავალი მკვლელობა ჩაიდინეს. ამ ამბების მიზეზი ისაა, რომ ოსები გაბოროტებული და დაზარალებული მენშევიკურ მთავრობის პოლიტიკისაგან, ეხლა ჯავრს იყრიან ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ისინი დადიან ქართველების სოფლებში და დაეძებენ თავიანთ საქონელს და სხვა ქონებას, რომელიც მოსტაცეს მათ მენშევიკებმა ბანდებმა ოსების აჯანყების დროს. ამ ნიადაგზე იბადება დავა და უთანხმოება, რომელიც ხშირად მეტად სამწუხაროთ თავდება ხოლმე. ქართველი მოსახლეობა ძლიერაა შეშინებული, ზოგი სულაც გადასახლდა სხვა ადგილებში, ხოლო დარჩენილთ ეშინიათ ყაჩაღურ ბანდებისა, აღარ შეუძლიათ წყნარი მუშაობა, ვერა ჰბედავენ მინდორში გამოსვლას. ამის გარდა შეშინებულია, რომ ცხოვრებაში არ ატარებენ მუშურ-გლეხურ მთავრობის დეკრეტებს, ხოლო ზოგიერთ სოფლებში ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოები თავნებობას იჩენდნენ, თავის ჭკუით ასრულებდნენ ახალ დეკრეტებს, უმსგავსოთ იქცეოდნენ, ართმევდნენ მცხოვრებთ ქონებას, ნამეტნავათ საქონელს და ამით უფრო აშინებდნენ უამისოთაც დაშინებულ ხალხს. როცა საგანგებო სამეული დადიოდა სოფლებში, გლეხებს ყოველთვის საჩივარი შეჰქონდათ ოსის ყაჩაღურ ბანდებსა და ადგილობრივ ხელისუფლების უმოქმედობაზე.

ამხ. ხუთულაშვილმა, როგორც შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილემ, გამოსცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის რევკომისადმი, რომლითაც აუკრძალა ოსებს სოფელ-სოფელ და ეზო-ეზო სიარული და თავის ნებით საქონლის და ქონების ჩამორთმევა. ამავე ბრძანების ძალით, ადგილობრივმა რევკომებმა ყველა დავა, აღძრული ამ ნიადაგზე, თითონ არ უნდა გადასწყვიტონ და უნდა გადასცეს კომისიას, რომელიც საგანგებოდ დაარსდა ცხინვალში დატაცებულ ქონების მოსაძებნათ. ოსების მილიციას და ყარაულებს ებრძანათ აღარ იარონ სხვის რაიონებში და არ შეაშინონ მცხოვრებნი. ამას გარდა ადგილობრივ ადმინისტრაციაში რამდენიმე პირი გამოსცვალეს. დასასრულ საგანგებო სამეულმა აღძრა და გაარჩია ბევრი სასამართლო საქმე. ასე, ცხინვალში ადგილობრივ და ახლო-მახლო სოფლებიდან მოსულ 3000 სულის თანადასწრებით გაარჩიეს საქმე ი. ფილიევისა, რომელსაც ბრალდებოდა ლოთობა და მკვლელობა წითელ არმიელის ჰ. ანენკოვისა. ბრალდებული დამნაშავედ იცნეს და გადაუწყვიტეს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. მცხოვრებლებმა თავისი კმაყოფილება გამოსთქვეს ასეთი მართლმსაჯულობისთვის. შემდეგ გადასცეს სამართლოს თამარაშენის რევკომის თავმჯდომარე ცერსიძე და ცხინვალის რაიონის უფროსი მილიციონერი ბურუაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა მრავალი მძიმე დანაშაული. ორთავეს დახვრეტა გადაუწყვიტეს, მაგრამ 26-ს ამნისტიის ძალით დახვრეტა შეუცვალეს 20 წლ. იძულებითი სამუშაოთი. ამას გარდა საგანგებო სამეულმა დააპატიმრა კიდევ მრავალი პირი, უმთავრესათ მილიციონერები, რომელთაც ბრალდებოდათ სხვა და სხვა დანაშაული. მათი საქმე გამოსაძიებლად გადაცემულია გორში პოლიტბიუროში. უკანასკნელ დროს მდგომარეობა ცხინვალის რაიონში თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა. ყაჩაღური თავდასხმები არ ყოფილა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ადგილობრივი გლეხ-ქართველები შიშში სცხოვრობს. თუ ზემო-ნათქვამს გაუკეთებთ რეზიუმეს, სასურველია მეტი ყურადღებით მოექცნენ ადგილობრივი ხელისუფალნი ცხინვალის რაიონის მცხოვრებთ, განსაკუთრებით გლეხობას, რომელნიც გაცნობილნი არ არიან სრულიად მთავრობის დეკრეტებსა და ზომებს. საჭიროა ბოლო მოეღოს შუღლის ძიებას ოსების მცხოვრებელთა და ქართველებისადმი განათლების გამო, რომელიც მიაყენა მათ მენშევიკების ბანდებმა და შეარიგონ ერთმანეთში, რის საუკეთესო საშუალებაა ამოიფხვრას სრულიად ნაციონალური შუღლის პროვოკაცია ერთ-ერთს შორის, რაიც ნათლად იმით მტკიცდება, რომ უწინ მუდამ კეთილ მეზობლურად, ერთ სულოვნურად სცხოვრობდნენ და არავითარი ანგარიშები მათ შორის არ იყო.

# ახალი ამბები

— მეტრანპაჟის შეცდომით ხამშაბათის ნომერს აწერია კვირა, 80 ნომრის მაგიერ 79.

— პარასკევს ივნისის 10 სახელმწიფო ოპერის თეატრში ალეშკოს, სარაჯიშვილის და სხვა საუკეთესო ძალთა მონაწილეობით: წარმოდგენილი იქნება ოპერა „ჯალატი“ ეს წარმოდგენა ფასიანია და ყოველ მოქალაქეს შეუძლია ბილეთის ყიდვა თეატრის კასაში.

— ახალი თეატრი. ივნისის 15 ტფილისში გაიხსნება ახალი საზაფხულო თეატრი „სტელლა“. ამ თეატრში განზრახულია დასდგან კლასიური პიესები. თეატრის გახსნის დღეს დასდგამენ მერეჟკოვსკის დრამას „პავლე I-ლი“. დასადგმელად მზადდება „ერთი ჭიქა წყალი“, „წითელი მამალი“, „მწვანე თუთიყუში“, „სიკვდილი იოანე მრისხანისა“, „მეფე თევდორე“ და სხვ.

— გთხოვთ თქვენი გაზეთის ქრონიკაში გამოაცხადოთ შემდეგი: სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებსა და მასწავლებლებს უფლება არა აქვთ გავიდნენ რესპუბლიკის ფარგლებიდან განათლების კომისარიატის ნებადაურთველად.

2) იმავე კომისარიატის დადგენილებით სტუდენტი—მასწავლებლები განთავისუფლებულნი არიან წ. კ. [illegible] სალიკვიდაციოდ გამოცხადებული მობილიზაციისაგან.

# რადიო

**პოლონელების სისასტიკე.**

**ნაუენი.** გერმანული პრესა იუწყება პოლონელების მიერ მრავლად ჩადენილ სისასტიკეზედ.

**ირლანდიაში.**

**ნაუენი.** ბრიტანეთის მთავრობას განზრახული აქვს ირლანდიაში მთავრობის ჯარის რიცხვის გადიდება 100 ათას კაცამდე.

**კომუნიზმი საფრანგეთში**

**ბერლინი.** პარიზში შრომის საგარეო ფედერაციის კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის წევრმა ჟაკომ განაცხადა, რომ საფრანგეთის ფაბრიკა ქარხნებში ძლიერდება კომუნისტების მოქმედება, ამავე კრებაზე განაცხადეს პროტესტი საფრანგეთის [illegible] ონიზმის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა [illegible] ლებას შრომის საერთაშორისო კონფედერაციაში.

**საბერძნეთში.**

**ბათომი.** 3—6. საბერძნეთის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონი, რომლითაც ქალებს ენიჭებათ არჩევნების აქტიური უფლება. მოახდინეს რეფერენდუმს ეროვნულ ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხების შესახებ.

**რეშად-ბეის გადადგომა.**

**ბათომი.** 3—6. მუსტაფა-ქემალის წარმომადგენელი პარიზში ექიმი იპად-რეშალ-ბეი გადადგა.

**პორტუგალიაში მშვიდობიანობა დარღვეულია.**

**ბათომი.** 3 6 პორტუგალიის კაბინეტი გადადგა. კაბინეტის დაცემის მიზეზია ლისაბონში მის მიერ ჯარების შეჯგუფება. ახალ პრემიერად დანიშნულია სენატორი ბაროს კიხეცი.

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.**

**ანგორა.** 21—5. ბულგარეთის ჟანდარმებმა დაიჭირეს ერთ როტამდე დეზერტირი ბერძნები, რომლებიც გადმოცვივდნენ საბერძნეთიდან ბულგარიაში. დეზერტირებმა განაცხადეს, რომ ისინი გაიქცნენ მობილიზაციისა და ფრონტზე გაგზავნის შიშით. ანატოლიის ფრონტის შიში იმდენად ძლიერია ჯარში გასაწვევთა შორის, რომ ისინი რჩეობენ ბულგარიაში გაქცევას, რომ არ მოჰყვნენ ანატოლიის ფრონტზე მომქმედ ჯარში.

**აჯანყება კუნძულ კრიტზე.**

**ანგორა.** ოსმალეთის პრესსა იუწყება, რომ საბერძნეთის ცნობებით კუნძულ კრიტის მცხოვრებნი აჯანყდნენ საბერძნეთის წინააღმდეგ.

**საბერძნეთ-ბულგარეთის შეტაკება.**

**ანგორა.** საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე დარიდერეზე საზღვრის დამცველ რაზმებს შორის მოხდა სისხლის ღვრა, გამოწვეული მით, რომ ბულგარეთმა უარი უთხრეს და არ დაუბრუნეს ბერძნებს დასავლეთ თრაკიიდან გამოქცეულნი და ბულგარეთის საზღვარზე გადმოსულნი ბულგარელები და ოსმალოები.

რედაქტორი თედო ღლონტი
გამომცემელი [illegible]

**დავკარგე** ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების წიგნაკი სამსონ მალაქიასძე ასათიანი № 1353, რაც ითვლება გაუქმებულად. 1115

**დავკარგე** ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების წიგნაკი ილია თომასძე გაგუასი № 3984, რაიც ითვლება გაუქმებულად 1114

**დავკარგე** ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების წიგნაკი ექიმ იოსებ კონსტანტინესძე აბაკელიასი, რაიც ითვლება გაუქმებულად 1116

**დავკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა იონა მებონიას სახელობაზედ, რაიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს 1112

**დავკარგე** ატესტატი მიცემული ტფილისის ქალთა მე-2 გიმნაზიიდან 19 0 ვალენტინა პლატონის ასული ფაჩულიას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

# განცხადება

ს. ს. ს. რ. საზომ-საწონთა პალატა კვლავ აცნობებს ყველა დაწესებულებებს, წარმოებათა და კერძო პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე საზომი, საწონი და სხვა ამგვარი მოწყობილობა, რომ თუ ამ საზომ-საწონთ არა აქვთ შემოწმების სათანადო ნიშანი ან ნიშანი 1920 წელზე ადრე მიღებული, აუცილებელია მათი პალატაში წარმოდგენა შესამოწმებლად და ამ ნიშნის მისაღებად.

[illegible] რევიზიის დროს აღმოჩენილ უნიშნო ან ვადაგასულ (1920 წლამდე) ნიშნებიან საზომ-საწონთა პატრონები ან პასუხისმგებელი მოსამსახურენი გადაეცემიან სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამართალს.

პალატის უფროსი ვ. გოცირიძე.

უფროსი გამსინჯველი ს. სმირნოვი